ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1633918

ნომერი: AR1268776

თარიღი : 26.11.2014

გაცემის თარიღი : 12.12.2014

გაცნობის თარიღი : 12.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ე. ბეჟანიშვილი , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლერი ტურძილაძე პ/ნ 01006000854
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 16 ბ. 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2013 წ. #708137 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 26.11.2014 წ. #A AR1268776 განცხადებით მომართა ლერი ტურძილაძემ და მოითხოვა 06.06.2013 წ. #708137 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 06.06.2013 წ. #01.

12.12.005.003 (ფართობი: 746 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე  დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა #708137 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან  (საკადასტრო ერთეული #01.12.12.005.028, ფართობი-896 კვ.მ.), რომლის თანახმადაც საკადასტრო შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, ფართობი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის  ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2013 წ. #708137 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან  (საკადასტრო კოდი №01.12.12.005.028,  ფართობით: 896კვ.მ. სარეგისტრაციო ნომრი #882014628065, მომზადების თარიღი 25.11.2014 წ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2013 წ. #708137 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 896 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - #01.12.12.005.028;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2013 წ. #708137 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დამატებით დოკუმენტაციად დაემატოს: ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირბის საკითხთა კომისიის ოქმი #26 (03.07.13.)  და ქალაქ თბილისის მერის  #1443 (15.07.13.) განკარგულება;
4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2013 წ. #708137 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაემატოს ჩანაწერი:
- ქალაქ თბილისის მერის განკარგულების შესაბამისად  მიწის ნაკვეთის განაშენიანების  მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა  კ–1=0.7;
- არსებული ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის ამსახველი დანართი შეიცვალოს ახალი ,,დანართი 1“–ით;
- მიწის ნაკვეთის რესურსის ანგარიშის დროს გათვალისწინებულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი (იხ. დანართი);

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2013 წ. #708137 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.